

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტი

ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: 48098

დარგი: მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა

შეტყობინების სახე: საჯარო

გარემოსდაცვითი კატეგორია: B

დირექტორთა საბჭოზე განხილვის სამიზნე თარიღი: 2016 წლის 20 აპრილი

სტატუსი: ექვემდებარება კონცეპტუალურ მიმოხილვას

პროექტის მოკლე აღწერის გამოქვეყნების თარიღი: 2016 წლის 8 თებერვალი

პროექტის აღწერა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ევრობანკი) აპირებს საქართველოს სახელმწიფოს გამოუყოს 10 მილიონი ევროს ოდენობის სუვერენული სესხი, რომლითაც ისარგებლებენ მყარი ნარჩენების გატანის მომსახურებაზე პასუხისმგებელი მუნიციპალიტეტები.

განზრახულია პროექტის თანადაფინანსება 5 მილიონი ევროს ოდენობის კაპიტალური გრანტით, რომელსაც საერთაშორისო დონორი სააგენტო(ები) გამოყოფენ.

პროექტის მიზნები

პროექტის ფარგლებში მყარი ნარჩენების გატანისთვის ახალი ტექნოპარკის, კონტეინერებისა და შესაბამისი აპარატურა-დანადგარების შეძენა დაფინანსდება. ამასთანავე, პროექტი მუნიციპალიტეტებს მხარს დაუჭერს ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავებაში და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პროგრამის განხორციელებაში.

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

პროექტის ფარგლებში შემდეგი ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტის მოხდენაა მოსალოდნელი:

- მუნიციპალური მომსახურების უზრუნველყოფისთვის გამჭვირვალე საკონტრაქტო მექანიზმების შემუშავება,
- მყარი ნარჩენების გატანის მომსახურების ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება და კომერციალიზაცია შემდეგი მექანიზმების საშუალებით:
- საჯარო მომსახურების კონტრაქტებისა და გარე პირების დაქირავების მექანიზმები, რათა ქვეყანაში ევროკავშირის დირექტივების შესაბამისი მყარი ნარჩენების განადგურების პრაქტიკა დაინერგოს და
- დაინტერესებული პირების მონაწილეობის პროგრამის განხორციელება საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად.

ინფორმაცია ევროზანკის კლიენტის შესახებ

საქართველო

საქართველოს მთავრობა და პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტები.

ევროზანკის დაფინანსების მოკლე აღწერა

10,000,000.00 ევრო

10 მილიონი ევროს ოდენობის სუვერენული სესხი გამოეყოფა საქართველოს სახელმწიფოს. მისი თანადაფინანსება მოხდება 5 მილიონამდე ევროს ოდენობის კაპიტალური გრანტით, რომელსაც საერთაშორისო დონორი სააგენტო(ები) გამოყოფენ ქვეყნის მუნიციპალიტეტების სასარგებლოდ.

პროექტის ჯამური ღირებულება

18,600,000.00 ევრო

პროექტის ჯამური ღირებულებაა 18.6 მილიონი ევრო, შემდეგი კომპონენტების ჩათვლით: საერთაშორისო დონორი სააგენტო(ები)ს მიერ გამოყოფილი საგრანტო თანადაფინანსება, ადგილობრივი მონაწილეობა (ინვესტიციებისა და ტექნიკური დახმარების ნაწილში), ასევე დამატებითი ტექნიკური დახმარება პროექტის მომზადებისა და განხორციელების ნაწილში.

გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების მოკლე მიმოხილვა

პროექტს მიენიჭა B კატეგორია (2014 წელს დამტკიცებული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის თანახმად). მყარი ნარჩენების გატანისთვის მანქანების, კონტეინერების და სხვა აპარატურის შექმნამ და გამოყენებამ მოსალოდნელია მოიტანოს მნიშვნელოვანი სარგებლობა და მოახდინოს დადებითი ეფექტი.

პროექტი ხელს შეუწყობს ნარჩენების მართვის პრაქტიკის დახვეწას და მოსახლეობის ყოველდღიური ყოფის გაუმჯობესებას, რაც მიიღწევა არასანიტარული ნარჩენებით

ადამიანის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემცირებით. გარემოსდაცვითი და სოციალური ანალიზი ჩატარდა ევრობანკის თანამშრომლების მიერ. აქცენტი გაკეთდა პროექტის განმახორციელებელი რგოლის - საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის არსებული სისტემების მიმოხილვაზე, ასევე პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური ეფექტის ანალიზზე, რათა ევროკავშირის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს ტექნოპარკისა და აპარატურის შემოთავაზებული პარამეტრებით. გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სიღრმისეული ანალიზი ასევე გულისხმობდა ცალკეული მუნიციპალიტეტების მონახულებას და მყარი ნარჩენების დამუშავების ობიექტებზე არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური პრაქტიკის შეფასებას. გაკეთებული დასკვნის თანახმად, პროექტი შეიძლება ისეთი სტრუქტურით შემუშავდეს, რომელიც ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და შესაბამისი გეგმაც შემუშავდება გამოვლენილი ხარვეზების მოსაგვარებლად. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა, საკითხების გასაჩივრების მექანიზმის ჩათვლით, უნდა შემუშავდეს პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტების მიერ. შეიქმნება კონკრეტული ინსტიტუციონალური მექანიზმი, რათა პროექტი ჯეროვნად განხორციელდეს მთელი პერიოდის განმავლობაში და შესაბამისობაში იყოს ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მოთხოვნებთან - მყარი ნარჩენების ტექნოპარკისა და აპარატურის მქონე კომპანიისა და საბოლოო მომხმარებლების (მუნიციპალიტეტებში) დონეზე.

ტექნიკური თანამშრომლობა

პროექტი ითვალისწინებს ტექნიკური თანამშრომლობის შემდეგ პრინციპებს:

ხელმოწერამდე

- ტექნიკური თანამშრომლობის კომპონენტი 1: ტექნიკური და ფინანსური სიღრმისეული ანალიზი და შესყიდვების საკითხებზე ხელმოწერამდე უზრუნველყოფილი დახმარება. ამ სეგმენტის ხარჯი 150,000 ევროა. ის ფინანსდება ევრობანკის აქციონრეთა სპეციალური ფონდიდან გარემოსდაცვითი პროგრამის E5P ფარგლებში.
- ტექნიკური თანამშრომლობის კომპონენტი 2: მწვანე ქალაქის კონცეფციის სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაიწერება ხსენებული ინიციატივის პრიორიტეტული ინვესტიციები. დაფინანსება 150,000 ევროს ოდენობით გამოიყოფა სლოვაკეთის და ჩეხეთის რესპუბლიკებისა და ესპანეთის მთავრობების მიერ ენერგეტიკული და ინტეგრირებული რესურსების პოლიტიკის დიალოგის ფარგლებში.

ხელმოწერის შემდეგ

- ტექნიკური თანამშრომლობის კომპონენტი 3: მუნიციპალიტეტებისადმი დახმარება იქნება გამოყოფილი ნარჩენების მართვის გეგმების, ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად და განსახორციელებლად. ამ კომპონენტის სავარაუდო ხარჯი 300,000 ევროა და მისი დაფინანსება მოხდება ორმხრივი ან მრავალმხრივი დონორი სააგენტოების ან SSF მიერ .

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ავთანდილ ცხვიტავა

შესყიდვების სპეციალისტი

atskhvitava@mdf.org.ge

Tel: 00995 322 437001

Fax: 00995 322 437077

www.mdf.org.ge

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობების გამოსავლენად დაინტერესებული პირები უნდა დაუკავშირდნენ ევრობანკის კლიენტ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორში პროექტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ [ევრობანკის შესყიდვების პირობები](#): ტელ: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი ინფორმაცია

ევრობანკის პროექტების შესახებ ინფორმაცია, შესყიდვების პირობების გარდა ნებისმიერ სხვა საკითხზე:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

ინფორმაციის გასაჯაროების პოლიტიკა

ინფორმაციის გასაჯაროების პოლიტიკაში გაწერილია ევრობანკის მიერ ინფორმაციის გასაჯაროების და აქციონრებთან კონსულტაციების პირობები, რათა საზოგადოების მიერ უკეთ იქნეს გაცნობიერებული ევრობანკის სტრატეგია, პოლიტიკა და საქმიანობის პრინციპები. [ინფორმაციის გასაჯაროების პოლიტიკის გასაცნობად ეწვიეთ ამ ბმულს.](#)

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი

ევრობანკს დანერგილი აქვს პროექტების გასაჩივრების მექანიზმი, რათა შესაძლებელი იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან შემოსული საჩივრების დამოუკიდებელი მიმოხილვა. ხსენებული საჩივრები შეიძლება ეხებოდეს ევრობანკის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში სავარაუდოდ გამოწვეულ ან პოტენციურ ზიანს.

პროექტის გასაჩივრების მექანიზმის წესები და პროცედურები

პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში შემოსული ნებისმიერი საჩივრის ფორმა შევსებული უნდა იყოს **პროექტის გასაჩივრების მექანიზმის წესებსა და პროცედურებში განსაზღვრულ ვადებში**. თუ გაინტერესებთ საჩივარი რამდენად აკმაყოფილებს ევრობანკის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს დაუკავშირდით პროექტის გასაჩივრების მექანიზმის სამმართველოს (ელ. ფოსტა: pcm@ebrd.com).